



განმავითარებელი და შემოქმედებითი აქტივობები

ქვემოთ წარმოდგენილი აქტივობები დაეხმარება მშობლებს, მასწავლებლებს და სპეციალურ მასწავლებლებს სახლის პირობებში სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შესთავაზონ მოსწავლეებს მარტივი, საინტერესო და განმავითარებელი აქტივობები.

#დარჩისახლში
#ისწავლეთამაშით

1. ფოთლებით ხატვის ხელოვნება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა

- აღქმა, ფერების ფორმების გარჩევა
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ვიზუალურ-მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითობა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სხვადასხვა ფორმის და ზომის ფოთლები
- ✓ საღებავები
- ✓ ფუნჯი ან ქურჭლის სარეცხი (ან ნებისმიერი) ღრუბელი
- ✓ თეთრი ფურცელი

აქტივობის აღწერა: ბავშვთან ერთად შეაგროვეთ სხვადასხვა ფორმის და ზომის ფოთლები, მაგალითად ჭადრის, თუთის, ვაზის. განცალკევებულად დააწყვეთ რამდენიმე ფოთოლი ფურცელზე, აიღეთ ღრუბლის ნაჭერი, ჩააწეთ საღებავში, შემდეგ ფოთლებს გარშემო ნელ-ნელა შემოავლეთ, სჯობს, რომ თუ ღრუბლით მუშაობთ, არ შემოატაროთ, არამედ ნელ-ნელა დაადოთ საღებავიანი ადგილი ფურცელს. შემდეგ ფოთლებს აიღებთ და ნახავთ, რომ დაგრჩათ ძალიან ლამაზი კონტურები, გააფორმეთ ნახატი გემოვნები შესაბამისად, სხვადასხვა ფოთოლზე სხვადასხვა ფერი გამოიყენეთ.



2 . ლიმნის და ფორთოხლის ანაბეჭდები

ვითარდება შემდეგი უნარები


- აღქმა და ყურადღება
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ვიზუალურ-მოტორული უნარების განვითარება;
- მეხსიერება, აზროვნება, სახელდება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- თეთრი ქაღალდი
- გუაშები
- ლიმონი, ფორთოხალი



აქტივობის აღწერა: ლიმონი და ფორთოხალი გაჭერით შუაზე, ჩააწეთ საღებავში (საღებავი უმჯობესია დაასხათ თეფშზე და იყოს საშუალოზე თხელი). საღებავიანი ციტრუსები დაადეთ ფურცელზე და დარჩება ანაბეჭდი.



3. აირჩიე ფერები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ნატიფი მოტორული უნარები
- თვალისა და ხელის კოორდინაცია
- ფერების აღქმა
- ყურადღების კონცენტრაცია და მდგრადობა
- ვიზუალურ-მოტორული უნარი



**აქტივობის
განხორციელებისთვის საჭირო
რესურსები:**

- ბოთლების სახრახნიანი ნაწილი და თავსახურები
- მუყაოს დაფა, მაკრატელი, ფერადი ფურცლები და წებო




აქტივობის აღწერა:

გამოჭერთ მართკუთხა მუყაოს დაფა, რათა მასში მოათავსოთ გამოჭრილი ბოთლის სახრახნიანი ნაწილი. დაამაგრეთ დაფა მაგიდაზე მყარად. ბოთლის თავსახურებს დააკარით ფერადი ქაღალდები. დაამზადეთ ნიმუშები, რომელთა მიხედვითაც ბავშვმა უნდა მოარგოს ბოთლს შესაბამისი ფერის თავსახური. იგივე აქტივობა შეიძლება განხორციელდეს ციფრებზე და ანბანზეც.

4. თვითმფრინავები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თვალისა და ხელის კოორდინაცია
- ყურადღების კონცენტრაცია
- რიგითობის დაცვა



**აქტივობის
განხორციელებისთვის საჭირო
რესურსები:**

- მუყაოს დაფა,
მაკრატელი, თაბახის
ფურცლები, მარკერი,
თოკი/ძაფი.



აქტივობის აღწერა:

ეს აქტივობა შესანიშნავია მეცადინეობის შემდეგ განტვირთვის მიზნით. გამოჭერით მუყაოსაგან ოთხკუთხედი დაფა, აღნიშნულ დაფაზე გამოჭერით სხვადასხვა ზომის წრეები. დაკიდეთ დაფა თოკზე. თაბახის ფურცლებისაგან დაამზადეთ თვითმფრინავები. აიღეთ სასტარტო ხაზი, საიდანაც ბავშვებმა თვითმფრინავები უნდა დაუმიზნონ და გააძვრინონ გამოჭრილ წრეებში, შეგიძლიათ წრეებს მიაწიქოთ ქულები.

5. ცივა, თბილა, ცხელა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ყურადღების კონცენტრაცია და მდგრადობა
- პრობლემის გადაჭრის უნარი
- დეტალებზე ფოკუსირება
- მითითებების გაგება
- ინსტრუქციის შესრულება




აქტივობის აღწერა:

ბავშვთან ერთად ირჩევთ ნებისმიერ ნივთს ან სათამაშოს. სანამ ბავშვი ითვლის 10-მდე, მალავთ სათამაშოს ოთახში. როდესაც ბავშვი მზად არის იპოვოს ნივთი, თქვენ მიმართულებას აძლევს მითითებებით „ცივა“, „თბილა“ და „ცხელა“. ცივა, როდესაც ძალიან შორდება ნივთს, თბილა, როდესაც უახლოვდება ნივთს. ცხელა, როდესაც ძალიან ახლოს არის ნივთთან. როლები შეიგიძლიათ გაცვალოთ. აქტივობის მრავალფეროვნებისათვის ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ „ფანარი“, რათა ბნელ ოთახში იპოვოთ დამალული ნივთები.

6. ფერების აღქმა და შესაბამება

ვითარდება უნარები:

- მხედველობითი აღქმა
- ფერების ცნობა და სახელდება
- ნატიფი მოტორილი უნარები
- ვიზუალურ-მოტორული უნარები




აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ფურცლები
- ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები

აქტივობის აღწერა:

ფურცლის მარჯვენა ნაწილში (სიგრძეზე) ვხატავთ სხვადასხვა ფერის წრეებს. მსგავსი ფერის წრეებს არეულად ვახატავთ მარცხენა მხარეს (ისევ სიგრძეზე). მოსწავლეს ვთხოვთ, რომ აიღოს შესაბამისი ფერის ფანქარი და მარჯვენა და მარცხენა მხარეს დახატული ერთნაირი ფერები ხაზის გავლებით შეაერთოს ერთმანეთთან.

7. სიგრძის მიხედვით კლასიფიკაცია



ვითარდება უნარები:

- შემეცნებითი უნარი - გრძელი/მოკლე ცნებების მნიშვნელობა
- მხედველობითი აღქმა
- ნატიფი მოტორული უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ფერადი პლასტელინები
- ფერადი საწრუპები
- მაკრატელი




აქტივობის აღწერა:

დავჭრათ ფერადი საწრუპები სხვადასხვა ზომებად. დაჭრილი საწრუპები და პლასტელინი დავდოთ მოსწავლის წინ. ვთხოვთ, რომ ამოარჩიოს კონკრეტული ფერის საწრუპები და ჩაარჭოს პლასტელინში სიგრძეების მიხედვით (ძალიან გრძელი, გრძელი, საშუალო, მოკლე, ძალიან მოკლე ან პირიქით).

8. ზომის მიხედვით კლასიფიკაცია

ვითარდება უნარები:

- შემეცნებითი უნარი - დიდი/პატარა ცნებების მნიშვნელობა
- მხედველობითი აღქმა - ფერების ცნობა და შესაბამება
- ნატიფი მოტორული უნარი



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ფერადი პლასტელინები
- ფურცელი
- ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები

აქტივობის აღწერა:

თითოეული ფერის პლასტელინი მოსწავლესთან ერთად დაამრგვალებს დიდ და პატარა ზომებად. ფურცელზე ფლომასტერით დახატეთ იმავე ფერების დიდი და პატარა წრეები. სთხოვეთ მოსწავლეს პლასტელინები ზომებისა და ფერების მიხედვით დააწებოს (შეუსაბამოს) ფურცელზე დახატულ შესაბამის წრეებზე.


9. აქტივობა: ფერადი სენსორული ჩანთა

ვითარდება უნარები:

- აღქმა - ფერების გარჩევა
- ვიზუალურ-მოტორული უნარები
- ნატიფი მოტორული უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- სამზარეულოს ზიპ ჩამკეტიანი პარკები
- ფერადი ღილები
- თმის ჟელე
- მარკერი



აქტივობის აღწერა:

სამზარეულოს პარკს გარედან დაახატეთ ორი წრე და წრის შუა გულში ჩაწერეთ ერთ-ერთი ფერის დასახელება ან გააფერადეთ წრე რომელიმე ფრად. პარკში ჩაასხით ცოტაოდენი თმის ჟელე და ჩაყარეთ ორი ფერის ღილები. სთხოვეთ ბავშვს ხელის და თითების მოძრაობით მიიყვანოს ღილი შესაბამისი ფერის წრესთან.

10. აქტივობა: ცისარტყელა

ვითარდება უნარები:

- აღქმა - ფერების გარჩევა
- ვიზუალურ-მოტორული უნარები
- ნატიფი მოტორული უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- წებო
- მარცვლეული (ბრინჯი, შვრია) ან M&M-ის კანფეტები.
- ქაღალდი
- ფერადი საღებავი



აქტივობის აღწერა:

ქაღალდზე დახატეთ ცისარტყელა. თითოეულ ფერს გადაატარეთ ზემოდან წებო. სთხოვეთ ბავსშვს დააწებოს მარცვალი ან კანფეტი წებოზე, შესაბამისი ფერის მიხედვით და თან დაასახელოს რა ფერს აწებებს.

11. აქტივობა: “ფრთხილად, ლავაა”

ვითარდება უნარები:

- აღქმა - ფერების, ფორმებისა და ზომების ფორმების გარჩევა
- მსხვილი მოტორული უნარები
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ფერადი ქაღალდები (A 4 ის ზომის)
- მაკრატელი

აქტივობის აღწერა:

გამოჭერთ ფერადი ქაღალდებისგან სხვადასხვა ფერისა და ზომის გეომეტრიული ფიგურები და დაალაგეთ იატაკზე. სთხოვეთ ბავშვს დადგეს საწყის წერტილზე. მიეცით ბავშვს ინსტრუქცია საწყისი წერტილიდან გადახტეს რომელიმე ფერის გეომეტრიულ ფიგურაზე, ისე, რომ იატაკს არ შეეხოს. აუხსენით რა არის ლავა და უთხარით, რომ იატაკზე გადასვლის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ის ლავაში ჩავარდა.

მაგ: „გადახტი მწვანე წრეზე“. შემდეგ გადახტეს შემდეგ დასახელებული ფერსა და გეომეტრიულ ფიგურაზე. ბავშვის განვითარების დონის მიხედვით, შესაძლოა ბავშვს მისცეთ ერთი ნიშნით კლასიფიკაციის ინსტრუქცია - „გადახტი ყვითელ ფერზე“ ან სამი ნიშნით კლასიფიკაციის ინსტრუქცია: - „გადახტი დიდ, წითელ სამკუთხედზე.“



12. ემოციების ჭიქა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარება:

- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითობა



აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:

- ✓ ქაღალდის ჭიქები
- ✓ მაკრატელი
- ✓ მარაირი

აქტივობის აღწერა:

ქაღალდის ჭიქების გამოყენებით აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ შეიძლება დამზადდეს ემოციების ჭიქა. ამისთვის დაგჭირდებათ ორი ქაღალდის ჭიქა, რომელსაც შემდგომში ერთმანეთში მოათავსებთ. შიდა ჭიქაზე უნდა მოხდეს სახის ნაწილების (თვალები, პირი) დახატვა და გარეთა ჭიქაზე უნდა მოხდეს აღნიშნული ნაწილების ადგილების ამოჭრა. ასევე ამავე ჭიქაზე ხდება თმების დახატვა. შეგიძლიათ რამდენიმე ვერსია დაიტანოთ, როგორც შინდა ჭიქაზე ასევე გარე ჭიქაზე. ემოციების ჭიქის შექმნის შემდეგ უნდა მოხდეს ემოციების სახელდება (იხილეთ ნიმუში სურათზე.)



13. ემოციების ნიღბები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარება:

- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითობა



აქტივობის აღწერა:

ხის ჯოხებისა და ქაღალდის თეფშების გამოყენებით აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ შეიძლება დამზადდეს ნიღბები. ამისთვის საწყის ეტაპზე ქაღალდის თეფში გაჭერით შუაზე და ქაღალდის წებოს გამოყენებით დაამაგრეთ ქაღალდის თეფშის შუა ნაწილზე ხის ჯოხი. შემდეგ მარკერის საშუალებით შეგიძლიათ დაიტანოთ სხვადასხვა ემოციის (სიხარული, გაკვირვება, სევდა და ა.შ.) გამომხატველი შესაბამისი კონტურები და მოახდინეთ სახელდება ემოციების.

აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:

- ✓ ქაღალდის თეფშები
- ✓ ხის ჯოხები
- ✓ მარკერები
- ✓ ქაღალდის წებო


14. ჭიქების გამოყენებით არითმეტიკა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარება:

- მათემატიკური უნარების განვითარება
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება

აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:

- ✓ ქაღალდის ჭიქები
- ✓ მარკერი
- ✓ მაკრატელი



აქტივობის აღწერა:

ქაღალდის ჭიქების გამოყენებით აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ შეიძლება დამზადდეს სურათზე მოცემული მასალა. ამისთვის დაგჭირდებათ ხუთი ქაღალდის ჭიქა, (თუ ხდება 10-ის ფარგალში მიმატება გამოკლების ოპერაციების განხორციელება) რომელსაც შემდგომში ერთმანეთში მოათავსებთ. თითოეულ ჭიქაზე უნდა მოხდეს ციფრების და არითმეტიკული მოქმედების აღმნიშვნელი სიმბოლოების დატანა. (იხილეთ სურათზე). თუ ციფრებიდან გადავდივართ 2 ნიშნიან რიცხვებზე შესაბამისად ვზრდით ჭიქების რაოდენობას. აღნიშნული აქტივობა სახალისოა ბავშვებისთვის.

15. რიცხვისა და რაოდენობის ამოცნობა 10 ფარგლებში

ვითარდება უნარები:

- ყურადღების კონცენტრაცია;
- დათვლა;
- რიცხვისა და რაოდენობის შესაბამისობა;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:


- ფერადი ფურცლები (A4);
- ფლომასტერი;
- თხილი.

აქტივობის აღწერა: ამ აქტივობის შესასრულებლად დაგჭირდებათ სამი სახის ბარათი: **1.** ბარათები რიცხვებითა წრეებით; **2.** ბარათები მხოლოდ წრეებით; **3.** ბარათები მხოლოდ რიცხვებით; თხილი. (ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ: ღილები, ლობიოს მარცვლები, კენჭები...)

1. ბარათები რიცხვებითა და წრეებით: A4 ფორმატის ფერადი ფურცლები გადაკვეთთ სამ ტოლ ნაწილად და გაჭერით. ბარათებზე ერთ მხარეს ფლომასტერით დაწერეთ რიცხვები 10-ის ფარგლებში. მეორე მხარეს კი დახატეთ იმავე რაოდენობის წრეები. თამაშის პრინციპი: წრეებზე განათავსეთ შესაბამისი თხილი და დაითვალიეთ.

2. ბარათები მხოლოდ წრეებით: ბარათზე გამოსახულ წრეებზე განალაგეთ თხილი, დაითვალიეთ და შეუსაბამეთ რიცხვი.

3. ბარათები რიცხვებით: დაასახელეთ ბარათზე მოცემული რიცხვი და განათავსეთ შესაბამისი რაოდენობის თხილი.




და

16. გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით სხვადასხვა აპლიკაციების შექმნა



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:


- ფერადი ფურცლები ;
- თაბახის ფურცელი (A4);
- წებო;
- მაკრატელი.



აქტივობის აღწერა: გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით აპლიკაციების შესაქმნელად, დააკვირდით მოცემულ ნიმუშებს. შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი აპლიკაცია. ფერად ფურცლებზე დახაზეთ ფიგურები. ასევე მოიმარჯვეთ მაკრატელი, წებო და თაბახის ფურცელი. გამოჭერით ფიგურები, წაუსვით წებო და შერჩეული აპლიკაციის მსგავსად დააწებეთ თაბახის ფურცელზე. შემდეგ სთხოვეთ ბავშვს დაასახელოს რომელი ფიგურები, ფერები გამოიყენა; ასევე დაითვალოს რამდენი სამკუთხედი და ოთხკუთხედი დასჭირდა მაგ, სახლის ასაწყობად (1 სამკუთხედი და 5 ოთხკუთხედი) და ა. შ.

ვითარდება უნარები:

- ფიგურების, ფერების გარჩევა;
- ყურადღების კონცენტრაცია;
- ვიზუალურ მოტორული უნარების განვითარება;
- ობიექტებს შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების აღმოჩენა.



19. შეკრება 10-ის ფარგლებში


აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- წითელი და შავი ფერის ფურცელი A4;
- მაკრატელი;
- ბარათები ციფრებით.

ვითარდება უნარები:

- ყურადღების კონცენტრაცია;
- მათემატიკური უნარების განვითარება (საგნების გადათვლა და შეკრება).

აქტივობის აღწერა: აქტივობის შესასრულებლად დაგჭირდებათ A4, ფორმატის წითელი ფერის ფურცელი, შავი ფერის წრეები, ბარათები ციფრებით 10-ის ფარგლებში. წითელი ფერის ფურცელზე შავი ფლომასტერით დახატეთ ჭიამაია და უჯრები. ბავშვს აუხსენით შეკრების პრინციპი: ჭიამაიაზე განათავსეთ წინწკლები, სთხოვეთ ბავშვს დაითვალოს ჯერ ერთ მხარეს განთავსებული წინწკლების რაოდენობა და შესაბამისი რიცხვი ჩასვას პირველ უჯრაში, შემდეგ დაითვალოს მეორე მხარეს მოცემული წინწკლების რაოდენობა და ჩასვას შესაბამის უჯრაში, ბოლოს ორივე მხარეს განთავსებული წინწკლების რაოდენობა ერთად დაითვალოს და ჩაწეროს შედეგი. ასევე შეგიძლიათ შესთავაზოთ პირიქით, უჯრებში განათავსეთ შეკრების მაგალითი ($5+2=$), შემდეგ სთხოვეთ ბავშვს, ჭიამაიაზე განათავსოს მოცემული შესაკრებების შესაბამისი რაოდენობის წინწკლები და გამოთვალოს ჯამი. მსგავსი აქტივობების შეთავაზება სწავლის პროცესს მეტად სახალისოს ხდის და ასევე ხელს უწყობს ბავშვს ადვილად აღიქვას და დაიმახსოვროს შეკრების ოპერაციის პრინციპი.



20. ერთმოქმედებიანი ამოცანები 10-ის ფარგლებში

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- წითელი და შავი ფურცელი (A4);
- თაბახის ფურცელი (A4);
- მაკრატელი.


ვითარდება უნარები:

- ყურადღების კონცენტრაცია;
- მათემატიკური უნარების განვითარება (საგნების გადათვლა და შეკრება
- ამოცანის პირობის გააზრება).


აქტივობის აღწერა: გამოკლების ოპერაციის შესასრულებლად ნიმუშის მიხედვით ბავშვთან ერთად დაამზადეთ, ხე და ვაშლები. შემდეგ შეადგინეთ მარტივი ამოცანები: **1.** მაგ, ხეზე იყო 6 ვაშლი ჩამოვარდა 2 ვაშლი. რამდენი ვაშლი დარჩა ხეზე? დასაწყისში აუხსენით დავალების პრინციპი: მაგ, ხეზე მოათავსეთ 6 ვაშლი, ჩამოვარდა 2 ვაშლი ე. ი. ხიდან აიღეთ 2 ვაშლი და მოათავსეთ ხის ძირში. დაითვალეთ ხეზე დარჩენილი ვაშლების რაოდენობა და ჩაწერეთ შედეგი.



ასევე შეგვიძლია დაამზადოთ ბარათები სხვადასხვა ცხოველებისა და ფრინველების ნახატებით და ერთად შეადგინოთ ამოცანები:



2. მაგ, 3 ბაყაყს სტუმრად ეწვია ერთი ბაყაყი. სულ რამდენი ბაყაყია?



3. იყო 4 ჩიტი, მოფრინდა (გაფრინდა) 2 ჩიტი. სულ რამდენი ჩიტია?

21. სახალისო ამოცანები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ფერადი ფურცლები;
- ფლომასტერი;
- მაკრატელი.

შესაბამისი ავტოფარეხი.

2. ვაშლებს მატლები შეესია, ამოიცანით რომელმა მატლმა რომელი ვაშლი დააზიანა. ამისათვის შეასრულეთ ვაშლზე მოცემული მოქმედებები და შესაბამისი პასუხის მქონე მატლი განვათავსეთ ვაშლზე. შემდეგ დააკვირდით და იპოვეთ მათ შორის ყველაზე გაუმაძღარი მატლი (მატლი უდიდესი რიცხვით); ყველაზე მეტად რომელი ვაშლი დააზიანა მატლმა? (უდიდესი პასუხის მქონე ვაშლი), ყველაზე ნაკლებად რომელი? (უმცირესი პასუხის მქონე ვაშლი).



3. ჭიქებში განათავსეთ შესაბამისი პასუხის მქონე ნაყინები. დასვით შეკითხვები: რომელ ჭიქაშია განთავსებული ყველაზე მეტი რაოდენობის ნაყინი? რომელში ნაკლები? რომლებში თანაბარი?

4. ბოქლომს მოარგეთ გასაღები. აღმოაჩნდათ თუ არა ბოქლომებს ერთნაირი გასაღები? რამდენი ბოქლომის გასახსნელად შეიძლება გამოვიყენოთ ერთი გასაღები?

5. ძაღლებს მოუძებნეთ თავიანთი ძვლები. დასვით შეკითხვები: რომელ ძაღლს შეხვდა ყველაზე დიდი წონის ძვალი? (ძვალი უდიდესი პასუხით); რომელს პატარა? (ძვალი უმცირესი პასუხით); რომლებს ერთი წონის?



22. სამაგიდო თამაში

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:



- ფერადი ფურცლები ;
- თაბახის ფურცელი (A4);
- მაკრატელი, წებო.

ვითარდება უნარები:

- ყურადღების კონცენტრაცია;
- ფერებისა და ფიგურების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ინტეგრაციისა და სივრცით უნარების განვითარება.

აქტივობის აღწერა: სათამაშო დაფის შესაქმნელად A4 ფორმატის თაბახის ფურცელზე დახაზეთ ცხრილი რომელსაც ექნება 7 სტრიქონი და 7 სვეტი (7X7). ნიმუშის შესაბამისად გააფერადეთ პირველი ზედა სტრიქონის უჯრები, მარცხენა სვეტში კი ჩახაზეთ 6 სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურა.



გეომეტრიული ფიგურები: გამოჭერით დაფაზე განთავსებული ფერებისა და ფიგურების შესაბამისი 6-6 ფიგურა.



კამათელი: დაგჭირდებათ ფერებისა და ფიგურების კამათელი. ნიმუშზე დაკვირვებით თაბახის ფურცელზე დახაზეთ კამათლის აპლიკაცია, შემდეგ გამოჭერით, გადაკეცეთ ხაზებზე, გვერდები ჩაუკეცეთ და დააწებეთ ისე რომ კუბის ფორმა მიიღოს.

თამაშის წესები: მაგიდაზე

განათავსეთ თქვენს მიერ მომზადებული აპლიკაციები: დაფა, გეომეტრიული ფიგურები და კამათელი. გააგორეთ ორივე კამათელი ერთდროულად. დააკვირდით კამათლის ზედა მხარეს რომელი ფიგურა და რომელი ფერი ამოგივიდათ: მაგ, მწვანე ფერი და წრე. ე.ი. დაფაზე მწვანე სვეტისა და წრის სტრიქონის გადაკვეთაზე, უნდა ჩასვას მწვანე წრე. თამაში გრძელდება მანამ სანამ დაფა არ შეივსება.



23. მოზაიკით თამაში

ვითარდება უნარები:

- აღქმა
- ვიზუალურ - სივრცითი სინთეზი
- ნატიფი მოტორული უნარები
- აზროვნება, ყურადღება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო

რესურსები:

🧩 მოზაიკა და მოზაიკის აწყობილი ნიმუშები



აქტივობის აღწერა:

ბავშვს ვაძლევთ მარტივ ნიმუშებს და მოზაიკით უნდა ააწყოს. შეიძლება თქვენ აუწყოთ ნიმუში და მან უნდა მოახდინოს მისი კოპირება, ან მისცეთ დახატული მარტივი ნიმუში. მას შემდეგ, რაც ბავშვი ადვილად აწყობს მარტივ ნიმუშებს, ართულებთ დავალებას და აძლევთ უფრო რთულ და რამდენიმე ფერის მოზაიკით გაკეთებულ ნიმუშებს.

24. გავაკეთოთ წიგნი

ვითარდება უნარები:

- ნატიფი მოტორიკა
- აკადემიური უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:
ქაღალდის ფურცლები



აქტივობის აღწერა: უთხარით ბავშვს: „მიყურე, პატარა წიგნს გავაკეთებ.“ აჩვენეთ - გადაკვეთთ ფურცელი ორად და ხელი გადაუსვით ნაკვეს, ისევ გაშალეთ და სთხოვეთ: „ახლა შენ გააკეთე ჩემნაირი წიგნი“. თუ არ აგყვათ, კიდევ ერთხელ აჩვენეთ.

როდესაც რამდენიმე ფურცელს გადაკვეცავთ ზემოთ აღწერილი პრინციპით, შეგიძლიათ ისინი ერთმანეთს ზემოდან დაადოთ და პატარა წიგნის სახით აკინძოთ. ჩახატეთ ან ჩაწერეთ ბავშვისთვის ადვილად აღქმადი სურათები, სიტყვები, ფორმები, სთხოვეთ, ბავშვს, ჩახატოს ხილი, ბოსტნეული, ცხოველები, მარტივი ფიგურები, ის, რაც კარგად გამოსდის და მის უნარებს შეესაბამება, ეს შეიძლება იყოს მზე, ყვავილი და ასე შემდეგ .



25. რამდენიმე საქმის ერთად კეთება

ვითარდება უნარები:

- ყურადღების განაწილების უნარის განვითარება

თამაში მიმდინარეობს ოჯახის წევრების ჩართულობით

აქტივობის აღწერა: ბავშვს ვეუბნებით: „მე შენ გეტყვი წინადადებას და იმავდროულად რამდენჯერმე დავაკაკუნებ მაგიდაზე. შენ შეეცადე გაიმეორო წინადადება და თან მითხრა რამდენჯერ დავაკაკუნე“.

წინადადებები თავიდან იყოს მოკლე (მაგ.: დაიწყეთ 2-3 სიტყვიანი წინადადებებით), ხოლო დაკაკუნებების რაოდენობა მცირე.

წინადადებების სიგრძე და კაკუნის რაოდენობა თანდათან გაზარდეთ.



26. კალათბურთი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:



- ვიზუალურ-მოტორული უნარების განვითარება;
- მსხვილი მოტორული უნარების განვითარება;
- ციფრების ცნობა და ანგარიში;
- დასვენება, განტვირთვა;



**აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:**

- ✓ პლასტმასის ჭიქები
- ✓ პატარა ბურთები
- ✓ წებო ან სკოჩი

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ პლასტმასის ჭიქები (ერთჯერადი). ჭიქები მიაწებეთ სქელ მუყაოზე ან რაიმე მყარ ზედაპირზე. ჭიქებს დააწერეთ ქულები: 10, 20, 30 და ა.შ. თუ ბავშვი ახლა იწყებს ციფრების და ანგარიშის სწავლას მიაწებეთ 1, 2, 3... დადებით კალათებიდან დაახლოებით 2 მეტრის დაშორებით (მანძილი თავად განსაზღვრეთ) და რიგრიგობით ისროლეთ ბურთები, თან დაითვალოთ ქულები და ჩამოწერეთ ფურცელზე. მოგებულია ის, ვინც მეტ ქულას დააგროვებს.



27. ლაბირინთები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სივრცითი აზროვნების განვითარება;
- ვიზუალურ-მოტორული უნარების განვითარება;
- კოორდინაციის უნარის განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;

**აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:**

- ✓ ჩხირები
- ✓ წებო
- ✓ მუყაოს ყუთი
- ✓ პატარა ბურთულა (მძივი)



აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობისთვის თქვენ დაგჭირდებათ მუყაოს ყუთი (ან მისი თავსახური) და ჩხირები. შეგიძლიათ გამოიყენოთ კოქტეილის საწრუპი ან უბრალოდ წვრილი ტოტები. ჩააწებეთ ჩხირები ყუთში ისე, რომ გამოვიდეს ლაბირინთი. მონიშნეთ სტარტის და ფინიშის ადგილები - დასაწყისში და ბოლოში. ბავშვმა უნდა მოახერხოს და ბურთულა მიაგოროს



სტარტიდან ფინიშამდე. ამისთვის ყუთი უნდა გადახაროს მარჯვნივ-მარცხნივ, ზემოთ ან ქვემოთ. ლაბირინთის სირთულეს განსაზღვრავთ ბავშვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

28. საგნები და კონტურები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ვიზუალური აღქმის განვითარება;
- სივრცითი აზროვნების განვითარება;
- იდენტურის პოვნა;
- ფორმის ამოცნობა;
- ვიზუალური მეხსიერების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- სახელდება;

**აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:**

- ✓ ქაღალდის ფურცელი
- ✓ მარკერები ან
ფანქრები
- ✓ სათამაშოები და
საოჯახო ნივთები



აქტივობის აღწერა:

ფურცელზე დადეთ საგანი და შემოხაზეთ მარკერით კონტური. რაც უფრო დიდია ბავშვი, მით უფრო რთული ფიგურის კონტურის დახატვა შეგიძლიათ ან დაანაწევრეთ ობიექტის კონტური რამოდენიმე ნაწილად.

აქტივობა ვარიანტი 1. ბავშვის ამოცანაა ნივთები სწორად განალაგოს კონტურებზე. თან დაასახელებინეთ თითოეული ნივთი.

აქტივობა ვარიანტი 2. აჩვენეთ ბავშვს ფურცელი კონტურებით, სთხოვეთ დაიმახსოვროს, გადააბრუნეთ ფურცელი და მის წინ დალაგებული ნივთებიდან უნდა გაიხსენოს ფურცელზე გამოსახული ნივთები. შემდეგ გადმოაბრუნეთ ფურცელი და შეამოწმოს რამდენი ნივთი გაიხსენა.



29. რიცხვების რაოდენობებთან შესაბამისობა

აქტივობა ავითარებს შემდეგ უნარებს:

- ციფრების ცნობას;
- რაოდენობის ცნობის გაგებას;
- რიცხვების დაკავშირება რაოდენობასთან;
- ნატიფ მოტორულ უნარებს;
- ყურადღების კონცენტრაციას.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ერთჯერადი თეფშები, ფერადი მარკერები, მაკრატელი.



აქტივობის აღწერა:

ერთჯერად თეფშზე დავწეროთ კონკრეტული რიცხვი, ამავე თეფშზე დავსვათ უკვე დაწერილი რიცხვის შესაბამისი რაოდენობის ფიგურა, მაგ: წითელი წრე, ან ოთხკუთხედი, შესაძლოა სმაილების გამოყენებაც (სურვილისებრ). შემდეგ ეს თეფში გავჭრათ შუაზე სხვადასხვა ხერხით, ბავშვმა უნდა იპოვოს რიცხვის შესაბამისი, ან რაოდენობის შესაბამისი თეფშის ნახევრები და ააწყოს ერთ მთლიანობად.

30. წინა და მომდევნო რიცხვების ცნობა



ვითარდება უნარები:


- მათემატიკური უნარები (ციფრების ცნობა);
- ყურადღების კონცენტრაცია;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- მუყაოს ქაღალდები;
- პლასტმასის ბოთლის თავსახურები;
- მარკერი.

აქტივობის აღწერა: პლასტმასის ბოთლის თავსახურებზე ფერადი მარკერით დავაწეროთ რიცხვები. მუყაოს ქაღალდი დავჭრათ მართკუთხედებად, მარკერით გავყოთ სამ ტოლ ნაწილად, შუა ნაწილში ჩავწეროთ კონკრეტული რიცხვი, ვთხოვოთ მოსწავლეს პლასტმასის ბოთლის თავსახურებზე მოძებნოს მუყაოს მართკუთხედებზე მითითებული რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვები და დააღაგოს შესაბამის ადგილზე.

31. ფერადი რიცხვები



ვითარდება უნარები:

- ციფრების ცნობა;
- ფერების ცნობა;
- ყურადღების კონცენტრაცია;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ვიზუალურ-სივრცითი და ვიზუალურ-მოტორული უნარები.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- A4 ზომის ფურცელი;
- ბამბის ჩხირები;
- ფერადი გუაშები;
- ფერადი ფანქრები.

აქტივობის აღწერა: თაბახის ფურცელზე ფერადი ფანქრებით დახატეთ შედარებით დიდი ზომის რიცხვები, სთხოვეთ მოსწავლეს ბამბის ჩხირებისა და ფერადი გუაშების გამოყენებით გააფერადოს თითოეული რიცხვი შესაბამისი ფერით, დაასახელოს როგორც რიცხვი, ასევე ფერი.

მოსწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ პატარა ისრებიც დაუხატოთ მიმართულების საჩვენებლად, თუ საიდან უნდა დაიწყოს ბავშვმა აღნიშნული რიცხვების გაფერადება.



32. რიცხვების შესაბამისი რაოდენობების შეგროვება



ვითარდება უნარები:

- ციფრების ცნობა;
- ფერების ცნობა;
- რიცხვების დაკავშირება რაოდენობასთან;
- ყურადღების კონცენტრაცია;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ვიზუალური აღქმა.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- პლასტმასის ბოთლები;
- ფერადი ქაღალდები ან ფერადი საღებავები;
- ბამბის ან თექის ფერადი ბურთები;
- ფერადი საწრუპები.

აქტივობის აღწერა: პლასტმასის ცარიელ ბოთლებს შემოაკარით ფერადი ქაღალდი ან შეღებეთ თითოეული სხვადასხვა ფერად. თითოეულ ბოთლს მარკერით დააწერეთ კონკრეტული რიცხვი. სთხოვეთ მოსწავლეს მოათავსოს ბოთლებში მასზე მითითებული რიცხვისა და ფერის შესაბამისი ფერადი ბურთები, ბამბის, ან თექის ბურთები, შეგიძლიათ გამოიყენოთ მცირე ნაწილებად დაჭრილი ფერადი საწრუპებიც. თუ თქვენს ხელთ არსებული ბოთლში მოსათავსებელი მასალა ბოთლის თავზე უფრო დიდებია, შეგიძლიათ გადააჭრათ თავი, თუმცა, ყურადღება მიაქციეთ, რომ მოსწავლემ ბოთლის გადაჭრილ პირზე არ დაიზიანოს ხელი.



33. იპოვე და დაალაგე შესაბამისი სიტყვები



ვითარდება უნარები:

- შემეცნებითი უნარებიდან - დაჯგუფება, კატეგორიზაციის უნარი;
- ვიზუალურ-მოტორულ უნარები;
- კითხვის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები.
- ყურადღების კონცენტრაცია.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- A4 ზომის თაბახის ფურცლები;
- ფერადი ფურცლები;
- ფერადი ფლომასტერები ან მარკერები;
- მაკრატელი.

აქტივობის აღწერა: თეთრ თაბახის ფურცელზე შემოხაზეთ წრე (ამ დავალების შესრულებისას დაგჭირდებათ 4 ცალი A4 ზომის თაბახის ფურცელი) და თავზე დააწერეთ მაგ: „ხილი“, ფერადი ფურცლისგან გამოჭერით რამდენიმე შედარებით პატარა ზომის წრეები, სურვილისამებრ შეგიძლიათ გამოჭრათ ოთხკუთხედები, სამკუთხედები, ღრუბლის ფორმის ფიგურები და დაწერეთ ხილის სახეობები. ამავე პრინციპით გააკეთეთ „ცხოველები“, „ფრინველები“ და თქვენთვის სხვა ნებისმიერი სახეობა. სთხოვეთ მოსწავლეს შედარებით პატარა ფურცლებზე მოძებნოს „ხილის“ სახელწოდებები და დაალაგოს შესაბამის ადგილზე.

34. მარცვლებისაგან სიტყვების შედგენა

ვითარდება უნარები:

- კითხვის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაცია;
- მარცვლებისაგან სიტყვის შედგენის უნარი;
- ალქმის უნარი.



აქტივობისთვის საჭირო რესურსები:

- A4 ზომის თაბახის ფურცლები;
- ფერადი ფლომასტერები ან მარკერები;
- მაკრატელი.



დავალების აღწერა: A4 ზომის თაბახის ფურცლები დაჭერით მართკუთხედებად, ფერადი მარკერის ან ფლომასტერის გამოყენებით თითოეულ მართკუთხედზე დაწერეთ სიტყვის შემადგენელი მარცვლები და სთხოვეთ მოსწავლეს მოძებნოს შესაბამისი მარცვლები და ააწყოს სიტყვა. აღნიშნული აქტივობისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ფერადი მარკერები ან ფლომასტერები, რაც ხელს შეუწყობს ფერების შესწავლის სტიმულირებასაც, სიტყვების აწყობასთან ერთად სთხოვეთ მოსწავლეს დაასახელოს ფერებიც.

35. ნიმუშის მიხედვით ფერების შესაბამისობა



ვითარდება უნარები:

- აღქმის უნარის განვითარება და ფერების გარჩევა
- ყურადღების კონცენტრაცია;
- ვიზუალურ-მოტორული უნარები, ანუ ხელისა და თვალის შეთანხმებული მუშაობის უნარის განვითარება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- თაბახის ფურცელი (A4 ზომა)
- ფერადი ფლომასტერები
- ხის ჩხირები

აქტივობის აღწერა: აიღეთ ხის ჩხირები და მათი ბოლოები შეღებეთ სხვადასხვა ფერის ფლომასტერით, შემდეგ ისინი თაბახის ფურცელზე დააღაგეთ და გადაიხატეთ ანალოგიური ფორმები, გააფერადეთ მათი ბოლოები ხის ჩხირების ფერების მსგავსად. მიაწოდეთ მოსწავლეს ხის ჩხირები და სთხოვეთ შეუსაბამოს ფურცელზე მოცემულ ფორმებს მსგავსი ფერების მიხედვით.

36. ციფრისა და რიცხვის დაკავშირება ფერების დახმარებით



აქტივობა ხელს უწყობს შემდეგი უნარების განვითარებას:

- მათემატიკური უნარების (რაოდენობის ცნება, რიცხვების ცნობა) განვითარება;
- აღქმა-ფერების ცნობა;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- ნატიფი მოტორული უნარი;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- მუყაოს ქაღალდი
- ბრტყელი ქვები
- ფერადი გუაშები და მარკერები

აქტივობის აღწერა: მუყაოს ფურცელზე ფერადი მარკერებით დახატეთ სხვადასხვა ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები, ზედ დაახატეთ ტანსაცმლის ფერის რიცხვები, ასევე გააფერადეთ გუაშით ბრტყელი ფორმის ქვები და ზედ დაახატეთ ციფრების შესაბამისი რაოდენობის და ფერის რგოლები, სთხოვეთ მოსწავლეს სხვადასხვა ხერხით, მაგ: ფერების დახმარებით (თუ უკვე იცის ფერები), იპოვოს მითითებული ციფრის შესაბამისი რაოდენობის რგოლებით მოხატული ქვები და მოათავსოს ნახატზე.

37. ფერების და მიმდევრობების აქტივობა



ვითარდება შემდეგი უნარები:

- აღქმა - ფერების გარჩევა;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- ვიზუალურ-მოტორული უნარები;
- ყურადღების კონცენტრაცია;
- შემეცნებითი უნარები-დაჯგუფება, თანმიმდევრობა
- ვიზუალური მეხსიერება;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- თმის ფერადი რეზინები
- თაბახის ფურცელი (A4)
- ფერადი ფანქრები

აქტივობის აღწერა: თაბახის ფურცლებზე დავხატოთ ბავშვის ხელის მტევანი, თითებზე მიხატული სხვადასხვა ფერის ბეჭდებით, მოსწავლეს ვთხოვოთ, ნიმუშის მიხედვით საკუთარ ხელის შესაბამის თითებზე გაიკეთოს იმავე ფერის და რაოდენობის თმის ფერადი რეზინები. დავალება შეგიძლიათ გაართულოთ, დააფარეთ ბარათს ფურცელი და სთხოვეთ ბავშვს დამოუკიდებლად წამოიცვას ფერადი თმის რეზინები ნიმუშის მიხედვით.

38. ნიმუშის მიხედვით ობიექტების განლაგება



ვითარდება უნარები:

- აღქმა-საგანთა გარჩევა ფერის და დეკორაციის მიხედვით
- ვიზუალურ-სივრცითი უნარები;
- ვიზუალური მეხსიერების უნარი;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი;
- ნატიფი მოტორული უნარები;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- მუყაოს ქაღალდი და თეთრი ფურცლები
- ფერადი და ჭრელი ფურცლები;
- შავი ფლომასტერი
- წებო და მაკრატელი

დავალების აღწერა: წინასწარ გამზადებულ რამოდენიმე ფერის და მოხატულობის (ზოლებიანი,

წერტილებიანი) წრის ფორმებს აწებებთ რამდენიმე ბარათზე სხვადასხვა თანმიმდევრობით, თითოეული წრის თავზე მითითებულია ისარი, ზევით ან ქვევით მიმართულებით, იმავე ნიმუშების და ფერების მიხედვით ჭრით ქაღალდის ჩიტებს, მუყაოს ქაღალდზე ხატავთ 2 ელექტრო ბოძს და მათ შუა გაბმულ სადენს. ბარათებიდან ირჩევთ ერთ-ერთს და აწოდებთ ბავშვს, რომელსაც სთხოვთ, ბარათზე მოცემული ნიმუშის და ისრების მიხედვით ზუსტად იმავე თანმიმდევრობით განალაგოს ფერადი და ჭრელი ჩიტები სადენის ზემოთ/ ქვემოთ. შესაძლებელია ნელ-ნელა გაართულოთ დავალება, დააფარეთ ბარათს ფურცელი და ბავშვს თხოვეთ, რომ დამოუკიდებლად განალაგოს ჩიტები ნიმუშის მიხედვით.

39. დედამიწის დაბინძურება და დასუფთავება




ვითარდება უნარები:

- მხედველობითი აღქმა
- ყურადღების კონცენტრაცია
- შემოქმედებითი უნარები
- წარმოსახვის განვითარება
- ენისა და მეტყველების განვითარება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- თაბახის ფურცელი (A4)
- სახაზავი
- მაკრატელი
- სხვადასხვა სიუჟეტური ბარათები



აქტივობის აღწერა: მოამზადეთ ორი მრგვლად დაჭრილი თაბახის ფურცელი. გამოსახეთ მათზე „ბედნიერი“ და „მოწყენილი“ დედამიწა. შემდეგ მოიძიეთ აპლიკაციები, რომელზეც გამოსახულია სხვადასხვა მოქმედებები, რომელიც ხელს უწყობს დედამიწის დასუფთავებას. მაგალითად: ხისა და მცენარეების დარგვა, ველოსიპედით სიარული, რომელიც გულისხმობს გამონაბოლქვის გარეშე სიარულსა და დედამიწის სისუფთავის შენარჩუნებას. მეორე მხარეს განათავსეთ ისეთი სიუჟეტური სურათები, რომელიც აბინძურებს დედამიწას. აქტივობის შესრულებისას შეგიძლიათ სიუჟეტური სურათები თავად შექმნათ ან ჩამოწეროთ სხვადასხვა ვარიანტები.

40. ჩრდილების თეატრი

ვითარდება უნარები:

- მხედველობითი აღქმა
- ყურადღების კონცენტრაცია
- შემოქმედებითი უნარები
- წარმოსახვის განვითარება
- ენისა და მეტყველების განვითარება



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- მუყაოს ქაღალდი
- კალკის თხელი ქაღალდი
- ხის ჯოხები/ ჩხირები/ საწრუპი ჩხირები
- სხვადასხვა პერსონაჟების მოდელები
- წებო



აქტივობის აღწერა: აქტივობისთვის მოამზადეთ სხვადასხვა პერსონაჟების მოდელები, რომელსაც დაამაგრებთ ხის ჯოხებზე ან საწრუპის ჩხირებზე. შემდეგ ამოჭერით მუყაოს ქაღალდი იმ სიგრძესა და სიგანეზე, როგორი სიდიდის სცენაც გინდათ, რომ გამოგივიდეთ. აიღეთ კალკის თხელი ქაღალდი და დააწებეთ შიგნიდან. შემდეგ კი შეგიძლიათ მზის სხივებისა და ნათურის საშუალებით შექმნათ ფონი და შეუდგეთ პერსონაჟების გაცოცხლებასა და ზღაპრების შექმნას.

41. გემი

ვითარდება უნარები:

- მხედველობითი აღქმა
- ყურადღების კონცენტრაცია
- შემოქმედებითი უნარები
- ორალურ-მოტორული უნარების განვითარება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ქილების სახურავები
- ხის/საწრუპის ჩხირები
- ქაღალდის ფერადი ფურცლები
- ცხელი წებო
- წყლით სავსე ჯამი



აქტივობის აღწერა: აიღეთ ქილების სახურავები და ცხელი წებოს საშუალებით დააწებეთ ისინი, როგორც სურათზეა მოცემული. დაჭერით სამკუთხედის ფორმის სხვადასხვა ფერის ფურცლები. შეგიძლიათ ამ ფურცლებზე დააწეროთ თქვენი და ბავშვის სახელები ან მოფიქრებული ლოგოები. შემდეგ ისინი ჩადეთ წყლით სავსე ჯამში და სულის შებერვის საშუალებით, რომელიც ასევე გაავარჯიშებს ორალურ-მოტორულ უნარებს, შეგიძლიათ მოაწყოთ შეჯიბრი.

42. ჩასვი გამოტოვებული ასო-ბგერა

ვითარდება უნარები:



- კითხვის უნარის განვითარება
- ლექსიკური მარაგის გაუმჯობესება.
- კატეგორიზაცია.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

ფურცელი, კალამი, საგნობრივი ბარათები

აქტივობის აღწერა:

ბავშვს აძლევთ წინასწარ გამზადებულ ყოფითი საგნების ბარათებს და შესაბამის სიტყვებს, სადაც ერთ-ერთი ასო გამოტოვებულია, სთხოვთ დაასახელოს ბარათზე გამოსახული საგანი და ჩასვას რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტიდან გამოტოვებული ასო-ბგერა. წაიკითხოს და დაასახელოს რა საგანია ეს, აღწეროს ან მოიფიქროს მოცემული სიტყვის გამოყენებით წინადადება.



43.შევადგინოთ სიტყვები

ვითარდება უნარები:

- კითხვის უნარის განვითარება
- ლექსიკური მარაგის გაუმჯობესება.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

ფურცელი, კალამი.

აქტივობის აღწერა:

ბავშვს ვაძლევთ წინასწარ ჩამოწერილ სიტყვის ფუძეს და მოძრავი ანბანიდან რამდენიმე ასოს. ვუხსნით რომ ერთი ასო-ბგერის შეცვლით შეგვიძლია ახალი სიტყვა მივიღოთ და ვაჩვენებთ ნიმუშს (ვკითხულობთ მასთან ერთად ხმამაღლა). შემდეგ ვთხოვთ შეცვალოს რომელიმე ასო ისე, რომ ახალი სიტყვა მიიღოს და წაიკითხოს. შეგვიძლია შევთავაზოთ ისეთი ასოებიც, რომელიც ახალი სიტყვის მისაღებად არ დასჭირდება. მაგ: ვაძლევთ ბ, ხ, ც, ყ, წ, ვ, ი ასოებს. ხელი, ბელი, ცელი, ყელი, წელი, ველი. ამ შემთხვევაში ი ასოს დამატებით ახალ სიტყვას ვერ მიიღებს.

44.წერტილების შეერთებით ფიგურების შექმნა

ვითარდება უნარები:

- ნატიფი მოტორული უნარები
- ვიზუალურ-მოტორული უნარები
- ვიზუალური აღქმა
- ვიზუალურ-სივრცითი უნარები
- ყურადღების კონცენტრაცია




აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

ფურცელი, კალამი.

აქტივობის აღწერა

ბავშვს ვაძლევთ წინასწარ გამზადებულ ცხრილს, სადაც მოცემულია წერტილების შეერთებით სხვადასხვა სახის ფიგურების ნიმუშები, ვთხოვთ ცარიელ ცხრილში დახაზოს ფიგურები ნიმუშის მიხედვით. შეგვიძლია გავართულოთ აქტივობა და დავხატოთ კონკრეტული საგნები, მაგ: სახლი.

ასევე შესაძლებელია ბავშვმა უყუროს ნიმუშს 20-30 წამის განმავლობაში და შემდეგ დამოუკიდებლად შექმნას იგივე ფიგურა ნიმუშის გარეშე.



45. გაფერადება ნიმუშის მიხედვით

ვითარდება უნარები:

- ნატიფი მოტორული უნარები
- ვიზუალურ-მოტორული უნარები
- ვიზუალური აღქმა
- ვიზუალურ-სივრცითი უნარები
- ფერების გარჩევა-დასახელება.
- ყურადღების კონცენტრაცია

აქტივობის
რესურსები:




განხორციელებისთვის

საჭირო

ფურცელი, ფერადი ფანქრები/ფლომასტერები

აქტივობის აღწერა:

ბავშვს ვაძლევთ წინასწარ გამზადებულ ცხრილს, სადაც რამდენიმე უჯრა გაფერადებულია სხვადასხვა ფერით. ვთხოვთ, გააფერადოს ცარიელი ცხრილი ნიმუშის შესაბამისად. დასაწყისისთვის უმჯობესია დავიწყოთ მარტივი ცხრილით და მხოლოდ ერთი ფერის ფანქრის გამოყენებით. ეტაპობრივად კი ვართულებთ დავალებას უჯრების რაოდენობის ზრდითა და ფერების ცვლით. ამავდროულად ვთხოვთ დაასახელოს ფერები.



46.სირბილის დროა ☺

ვითარდება უნარები:

- მსხვილი მოტორული უნარები
- კოორდინაცია

აქტივობის
რესურსები:

განხორციელებისთვის

საჭირო

ცარცი ან საღებავი

აქტივობის აღწერა

თუ გაქვთ უზო იმ შემთხვევაში შეგიძლიათ ასფალტზე ცარცით დახატოთ რამდენიმე წრე და ნაფეხურები ისე როგორც პირველ ფოტოზეა ნაჩვენები (5-6 ან მეტი). აჩვენეთ ბავშვს როგორ უნდა იხტუნოს მოცემულ „ბილიკზე“. შეგიძლიათ თამაშს მისცეთ შეჯიბრის სახე. ათამაშოთ რამდენიმე ბავშვი ერთდროულად (ასეთ შემთხვევაში დაგჭირდებათ ორი იდენტური ბილიკის დახატვა). თუ მსგავსი აქტივობის განხორციელებას სახლში გადაწყვეტთ, მაშინ შეგიძლიათ თაბახის ფურცელზე შექმნათ იგივე „ბილიკი“ და განალაგოთ იატაკზე. ასევე ფერადი ლენტით ან ცარცით გააკეთოთ სხვადასხვა სახის ხაზები (სწორი, ტეხილი, კლაკნილი, წრიული) და სთხოვეთ ბავშვს, გაიაროს აღნიშნულ ბილიკზე.



47. ქვიშაზე ხატვა/ წერა

ვითარდება უნარები:

- ნატიფი მოტორული უნარები
- ვიზუალურ-მოტორული უნარები
- წერა

აქტივობის
რესურსები:

განხორციელებისთვის

საჭირო

ქვიშა/ბურღული/ფქვილი

აქტივობის აღწერა: თეფშზე ან სინზე დავყაროთ ქვიშა, ან ნებისმიერი სახის ბურღული (ან ფქვილი) და ვაჩვენოთ ბავშვს, როგორ შეიძლება მასზე დახატვა თითით. შეგვიძლია შევქმნათ ნებისმიერი სახის ნახატი, დაიწყეთ მარტივი ფიგურების შექმნით, მაგ: მზე, ვაშლი, სახლი და ა.შ. შემდეგ ეტაპზე შეგიძლიათ გადახვიდეთ გეომეტრიულ ფიგურების, ციფრების ან ასოების წერაზე. ბავშვის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავუხმაროთ ხელის ხელზე მოკიდებით, ან ვხატოთ ერთობლივად, მაგ: მზე დახატოთ თქვენ, სხივები კი დაუხატოს ბავშვმა.



48. რაოდენობის და რიცხვის დაწყვილება

ვითარდება უნარები:

- თვლა
- რაოდენობის იდენტიფიცირება
- ნატიფი მოტორიკა
- ციფრების ცნობა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- სხვადასხვა ზომის ღილები
- კვერცხის ჩასადები ყუთი
- ფლომასტერი

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობის შესრულებისთვის თქვენ დაგჭირდებათ კვერცხის ჩასადები ყუთი, რომელსაც უნდა დააწეროთ სხვადასხვა ციფრები. ყუთის ზედა ნაწილში ჩაყარეთ ღილები (შესაძლებელია შეიცვალოს პატარა ზომის სხვა ნივთებით). თხოვეთ ბავშვს აიღოს ღილების ის რაოდენობა, რა რაოდენობაც აწერია ყუთს, დათვალოს, დაასახელოს და მოათავსოს შესაბამის ადგილას.



49. გეომეტრიული ფიგურების აწყობა

ვითარდება უნარები:


- გეომეტრიული ფიგურების ცნობა და დასახელება
- ვიზუალური აღქმა
- ნატიფი მოტორიკა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ჩხირები ან ასანთის ღერები
- ფურცელი
- ფლომასტერი

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობის შესრულებისთვის ფურცელზე დახატეთ სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები. მიეცით ბავშვს ჩხირები და თხოვეთ დახაზულ ფიგურაზე დააწყოს ჩხირებით, შემდეგ ეტაპზე შეგიძლიათ თხოვოთ შეხედოს ნიმუშს და ჩხირებით მაგიდაზე ააწყოს მსგავსი, დაასახელოთ აწყობილი ფიგურა, დათვალოთ გვერდები და კუთხეები.



50. მოძებნე და მიუსადაგე

ვითარდება უნარები:

- მხედველობითი აღქმა
- ყურადღების კონცენტრაცია
- ნატიფი მოტორიკა
- საგნების სახელდება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- სხვადასხვა ზომის და ფორმის ნივთები
- დიდი ზომის ფურცელი
- ფლომასტერი

აქტივობის აღწერა:


ამ აქტივობის შესრულებისთვის თქვენ იყენებთ სხვადასხვა ზომის და ფორმის ნივთებს. დიდი ზომის ფორმატზე შემოხაზეთ ამ საგნის კონტურები, მოათავსეთ ფურცელი და საგნები ბავშვის წინ, თხოვეთ მას სათითაოდ ამოიღოს და მიუსადაგოს საგანი შესაბამის ფორმას. ამავდროულად, შეგიძლიათ დაასახელებინოთ რა საგნებსაც დააწყვილებს.



51. საგნების გამოცნობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- აზროვნების უნარის განვითარება;
- წესების დაცვის უნარის განვითარება;
- აღქმის უნარის განვითარება.



**აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:**

- ✓ ტომარა;
- ✓ სხვადასხვა საგნები.

აქტივობის აღწერა:

ორი მოთამაშე ტომარაში ყრის სხვადასხვა საგნებს ისე, რომ არ ანახებენ ერთმანეთს რა საგნებს ყრიან. შემდგომ, პირველი მონაწილე თავის ტომარაში ყოფს ხელს, იღებს ერთ-ერთ საგანს და ამოუღებლად ახასიათებს მას სხვადასხვა ნიშნით (მაგ: თუ ხელში მოხვდა კოვზი, ამბობს: „რკინისაა, ამით ვჭამთ საჭმელს...“) მეორე მონაწილემ უნდა ამოიცნოს საგანი, თუ სწორად ამოიცნო ერთი ქულა ეწერება და ახლა თვითონ ირჩევს საგანს თავისი ტომრიდან, თუ ვერ ამოიცნო - მოწინააღმდეგე იწერს ქულას და ისევ მეორე მონაწილე აგრძელებს შეკითხვის დასმას.

აქტივობა უფრო სახალისო რომ გახდეს შესაძლოა გამოვიყენოთ ფერადი ტომრები, სხვადასხვა ყუთები.

52. მითითებების შესრულება

**აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების
განვითარების ხელშეწყობა:
ხელშეწყობა:**

- მიმართული მეტყველების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- აღქმის უნარის განვითარება.

**აქტივობის განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:**

- ✓ ფერადი ფურცლები;
- ✓ კუბიკი;
- ✓ წებო;
- ✓ კალამი.

აქტივობის აღწერა:

პლასტმასის კუბიკზე (ან ნებისმიერ კვადრატის ფორმის საგანზე) ოთხივე მხრიდან წებდება სხვადასხვა ფერის ქაღალდები. ამავ ფერის პატარა ფურცლებზე იწერება სხვადასხვა მითითებები (ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინებით) და ცალკე იდება ფერების მიხედვით. იწყებს ერთ-ერთი მონაწილე, კუბს აგდებს დაბლა, რა ფერიც იქნება ზემოთ, იმ ფერის შესაბამის ფურცლებიდან იღებს ერთ-ერთს და ასრულებს იქ დაწერილ მითითებას. შემდეგ იმავეს იმეორებს მეორე მონაწილე. მითითებები შეიძლება იყოს შემდეგი სახის: ახტი სამჯერ, დატრიალდი ორჯერ, დახუჭე თვალები და საჩვენებელი თითი დაიდე ცხვირზე, თქვი ლექსი, დაასახელე 5-ის და 2-ის ჯამი და სხვა... მითითებები შეარჩიეთ ბავშვი უნარების შესაბამისად, რომ მარტივად შეძლოს მისი შესრულება.



თუ ბავშვმა კითხვა არ იცის, მაშინ ის მხოლოდ ფერის მიხედვით არჩევს ფურცელს, უფროსი უკითხავს მითითებას და ბავშვი ასრულებს მას.

53. მიზანში სროლა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თვალისა და ხელის კოორდინირების უნარის განვითარება;
- ნატიფი მოტორული უნარის განვითარება;
- წონასწორობის დაცვის უნარის განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება.



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი ფურცლები;
- ✓ ყუთები/ვედროები;
- ✓ ფერადი სკოჩი/ლენტი.

აქტივობის აღწერა:

იატაკზე ფერადი სკოჩით/ლენტით იხაზება კვადრატი, მოშორებით იდგმება ორი ყუთი/ვედრო, პატარა ფერად ფურცლებს უფროსი და ბავშვი კუჭავენ გუნდებად. უფროსი და ბავშვი დგებიან კვადრატის საზღვარში და ხაზებიდან გადაუსვლელად ისვრიან ქაღალდის გუნდებს ყუთის/ვედროს მიმართულებით. აქტივობის დასასრულს, მონაწილეები ითვლიან ჩაყრილი გუნდების რაოდენობას და ადგენენ გამარჯვებულს. ბავშვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ყოველ ჯერზე გაიზარდოს მანძილი საზღვრიდან ყუთებამდე.

შეჯიბრის გამრავალფეროვნებისთვის შესაძლებელია წინასწარ განისაზღვროს ჯილდო გამარჯვებულისთვის.

54 წილადების ბორბალი

ვითარდება შემდეგი უნარები

1. ნატიფი მოტორული უნარები
2. ვიზუალური უნარები
3. ყურადღების კონცენტრირება
4. მათემატიკა (წილადები)

რესურსები:

- მაკრატელი
- ფერადი თაბახის ფურცლები
- ფლომასტერები
- წებო
- ხის ჩხირები
- ერთჯერადი თეფშები

აქტივობის აღწერა:

- ბავშვთან ერთად გამოჭერით წრის ფორმის ფერადი ფურცლები
- თითოეულ ფურცელს დააწერეთ წილადები, ფურცელი დააწებეთ თეფშის უკანა მხარეზე. თეფშის ერთ ნაწილს დააწებეთ ხის ჩხირი
- თეფში გაყავით მასზე გამოსახული წილადის შესაბამის ნაწილებად,
- თავიდან ბავშვს აჩვენეთ შეერთებული ნაწილი
- შემდეგ განაცალკევეთ, არიეთ და სთხოვეთ თეფშები შეერთოს ისე, რომ მთელი გამოვიდეს
- პროცესში დაასახელეთ თითოეული ნაწილი, აჩვენეთ განსხვავება.



55. მათემატიკა ნიანგთან ერთად

ვითარდება შემდეგი უნარები:


1. ნატიფი მოტორული უნარები
2. მათემატიკური უნარები ($<$, $>$, $+$, $-$, $)$

რესურსები

- მაკრატელი
- თეთრი და მწვანე თაბახის ფურცლები
- ფლომასტერები
- წებო

აქტივობის აღწერა:

- ბავშვთან ერთად დაჭერით თეთრი თაბახის ფურცლები 4 ნაწილად
- მთლიან მწვანე თაბახის ქაღალდზე (ან თეთრი ფურცელი გააფერადეთ მწვანედ) გამოჭერით ნიანგის ფორმის თავი, მიაწებეთ თეთრ სამკუთხედად გამოჭრილი კბილები და თვალები, თვალები გააფერადეთ
- თეთრ, ოთხ ნაწილად დაჭრილ ფურცლებზე დაწერეთ რიცხვები/ ციფრები, ზოგან ჩაწერეთ მოქმედებებიც და ჩახატეთ შესაბამისი რაოდენობის ფიგურები
- აიღეთ ორი ფურცელი - ბავშვმა ფურცელი, რომელზეც მეტი ციფრი წერია, უნდა დადოს ნიანგის პირის მხარეს, ნაკლები - თავის მხარეს.



56. სახლის ბოულინგი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მსხვილი და ნატიფი მოტორიკა
- თვალის და ხელის კოორდინაცია
- ყურადღება
-



აქტივობის
განხორციელებისთვის საჭირო
რესურსები:

- მცირე ან საშუალო ზომის ბურთი
- 5 ან 10 ცალი პლასტმასის ბოთლი



აქტივობის აღწერა: პლასტმასის ბოთლებისგან

ვამზადებთ კეგლებს, ვაფერადებთ სხვადასხვა ფერებში ან ვაწებებთ სხვადასხვა ფერის ქაღალდებს. დამზადებულ კეგლებს ვაწყობთ რიგში და ჩვენთვის მისაღები დისტანციიდან ვიწყებთ ბურთის სროლას.



57. დეგუსტაცია

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- გემოთი აღქმა
- ყურადღება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

სახლში არსებული სხვადასხვა პროდუქტი:

შოკოლადი, პურის ნაჭერი, ძეხვი, კვერცხი, პომიდორი, ვაშლი და სხვა

(პროდუქტი არ უნდა იყოს ძალიან მჟავე, ან მწარე, რომ არ გამოიწვიოს ბავშვის გაღიზიანება), სასურველია, პროდუქტი იყოს ისეთი, რის ჭამასაც ბავშვი მიჩვეულია და უყვარს



აქტივობის აღწერა: ბავშვთან ერთად ვაწყობთ

მაგიდაზე სხვადასხვა პროდუქტს (ეს შეიძლება იყოს ნამცხვარი, ხილი, შოკოლადი და ა.შ.) შემდეგ ვთავაზობთ თვალდახუჭულმა ამოიღოს ნებისმიერი პროდუქტი და გასინჯოს, თან დაასახელოს რა დააგემოვნა. შესაძლოა, როლები შიცვალოს, შემდეგ ეს სცადოს უფროსმა, და ბავშვი დააკვირდეს მშობელს, გამოიცნო თუ არა პროდუქტი მან.

58. სახალისო საუზმე

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა

- აღქმა, ყურადღება, აზროვნება
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ვიზუალური უნარები
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითობა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

✓ ნებისმიერი საჭმელი, საკვები



აქტივობის

აღწერა: ნებისმიერი პროდუქტისგან ბავშებთან ერთად შექმენით სახალისო საუზმე, იხილეთ ნიმუშები, ასევე მსგავსი იდეების მოფიქრება თქვენს შეგიძლიათ

59. ჩხრიალა კვერცხების დამზადება

აქტივობის მიზანია

- სმენითი აღქმის განვითარების ხელშეწყობა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ „ქინდერის“ სათამაშოს კვერცხები, ან სხვა მსგავსი ფორმები
- ✓ ნებისმიერი სხვადასხვა ბურღულეული

აქტივობის აღწერა:

ბავშვთან ერთად ჩაყარეთ სხვადასხვა ბურღულეულის პლასტმასის კვერცხებში და ჩაკეტეთ, რომ არ გადმოიყაროს. ბურღულეულიდან შეგიძლიათ აირჩიოთ წიწიბურა, ბრინჯი, ან ლობიო. მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა რაოდენობის ჩაყრა, სხვადასხვა ხმას გამოსცემს. ერთი სათამაში თქვენ დაიჭირეთ, მეორე ბავშვს მიეცით და სთხოვეთ გაიმეროს ხმის გამოცემის რაოდენობა, მაგალითად სამჯერ, ბავშვმაც სამჯერ უნდა დააქნიოს, შემდეგ თითო-თითოჯერ ოდნვა ხანგრძლივი პაუზით და ა.შ. ასევე, მიეცით ბავშვს შესაძლებლობა ითამაშოს თავისუფალი თამაშიც, ანჯდრიოს და უსმინოს ხმებს.



60. ბუნებრივი ხე

აქტივობის მიზანია:

- შემოქმედებითი უნარების განვითარება
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება
- აღქმა, ყურადღება
- ხატოვანი აზროვნება



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ხის სხვადასხვა ფერის და ფორმის ფოთლები და ყვავილები და ყვავილის ფურცლები
- ფურცელი და ფანქარი
- ან ფურცელი, ყავისფერი მუყაო და მაკრატელი
- წებო



აქტივობის აღწერა:

ერთად მოაგროვეთ სხვადასხვა ფერისა და ფორმის ფოთლები. თაბახის ფურცელზე დახატეთ ხის ტანი, ან გამოჭერით მუაოსგან ხის

ბავშვთან

ტანის ფორმა და ის დააწებეთ, ზემოთ კი ტოტების და ფოთლების დახატვის ნაცვალდ, დააწებეთ სხვადასხვა ფოთლები. მიიღებთ საკმაოდ ლამაზ კოლაჟს.

შეგიძლიათ, ხის ტანი ტოტებისგან დაამაგროთ ფურცელზე.

